



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 120

2016 წლის 14 ივნისი

ქ. თბილისი

ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო
სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების
შესახებ

„ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო
გრანტების გაცემის წესისა და საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 23 ივნისის N120/5 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3
მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/5 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის
მე-2 პუნქტის „ე“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მაია ქაჯაიას
სამსახურებრივი ბარათის (N671339, 14.06.2016) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის
სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები ამ
ბრძანების დანართი N1-ს შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი)
იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართი ერთით
გათვალისწინებულ პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი
კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2016 წლის 15 ივლისისა;
3. დაევალოს სსიპ - ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება
ფონდის ვებ გვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო - კვლევითი
 სტაჟირებისათვის 2016 წლის კონკურსის გამარჯვებული პროექტები

N	შიფრი	პროექტის სახელწოდება	საერთო ქულა
1	IG/3/1/16	კავკასიონის მყინვარების ინვენტარიზაცია	45
2	IG/31/1/16	გარემოდან გამოყოფილი ბაქტერიების როლი ანტიბიოტიკების ბიოდეგრადაციაში	45
3	IG/37/6/16	შექსპირის რეცეფცია XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის ინგლისურ ლიტერატურასა და თეატრში	45
4	IG/54/6/16	კემბრიჯის უნივერსიტეტის წიგნსაცავში დაცული ქართული ხელნაწერები და მათი ანდერძ-მინაწერები (კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყარომცოდ-ნეობითი კვლევა)	45
5	IG/52/1/16	სინათლით მართვადი გაუმჯობესებული თვისებების მქონე პოლარიზაციულად მგმნობიარე და მათ შორის აზოთხევადკრისტალური მასალების მიღება და კვლევა	44
6	IG/14/3/16	თანამედროვე ობიექტური მეთოდები და მიდგომები ADHD-ს (ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობა) და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების კვლევისა და მკურნალობისათვის	44
7	IG/55/5/16	სამართლებრივი კულტურის ფორმირება პოსტ საბჭოთა საქართველოში - ფაქტობრივ და ნორმატიულ რეალობას შორის	44

8	IG/2/6/16	ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაციის პერსპექტივები	44
9	IG/8/1/16	კუმისი-წალკის ფართობის აქტიური ტექტონიკა, საქართველო: აღმოსავლეთ აჭარა- თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელის ზურგის შეცოცებების ზონა	43
10	IG/10/1/16	თავის ტვინის ჰიპოკამპალური სწრაფი რხევების კვლევა ნორმასა და ეპილეფსიაში	43
11	IG/29/1/16	საქართველოს აღმოსავლეთ კავკასიონის მთათაშუა არის ტექტონიკურ- გეომორფოლოგიური ანალიზი რაოდენობრივი მეთოდებით	43
12	IG/49/1/16	დიდ ადრონულ კოლაიდერზე (LHC/CERN) წარმოებულ პროტონ- პროტონულ დაჯახებებში	43
13	IG/7/1/16	ალბათური სეისმური საშიშროებისა და სეისმური რისკის შეფასება საქართველოს ტერიტორიისათვის	42
14	IG/50/1/16	მზის კორონული ხვრელების ჯეტების დინამიკა	42
15	IG/40/3/16	ინსულინის მწარმოებელ პანკრეასის ბეტა უჯრედებსა და ირგვლივმდებარე ქსოვილებს შორის ჰუმორული ურთიერთქმედება: შესაძლო ინტერაქცია NUPR1-სა და REG3β -ს შორის ბეტა უჯრედების დაზიანების დროს	42
16	IG/13/1/16	ცაგერის მუნიციპალიტეტში არსებული გეოლოგიური საფრთხეების ანალიზი და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგია	41
17	IG/27/6/16	თურქ ხალხთა ფოლკლორი და ლიტერატურა	41
18	IG/19/1/16	ნახშირბადის ნანოსტრუქტურების სინთეზი და კვლევა	40